ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

18 სექტემბერი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 177 (10346) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ლელოს" რედაქცია ეკითხება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას, საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილებას

**როგორც** მკითხველისთვის ცნობილია, ამ დღეებში მოსკოვში დაიწყო გურიელ-პრუდნიკოვას მატჩი, რომელსაც 6 პარტიაში უნდა გამოევლინა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის სარეზერვო კანდიდატი. გურიელ-პრუდნიკოვას მატჩი დასაწყისშივე შეწყდა. აქედან გამომდინარე, „ლელოს" რედაქცია გთხოვთ გვიპასუხოთ:

1. ვისი ან რისი მიზეზით დააგვიანა მატჩზე ნინო გურიელმა;
2. პირველი პარტია შედგა ერთი დღით გვიან, მაგრამ არ დამთავრებულა და გადაიდო;
3. რატომ არ განახლდა გადადებული პარტია?
4. რატომ შეწყდა მატჩი, იყო თუ არა თქვენთან თამაშის საერთოდ შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება?
5. აქვს თუ არა იურიდიული საფუძველი საქართველოს დელეგაციის გადაწყვეტილებას მატჩის შეწყვეტის თაობაზე.



## საუკეთესო შედეგით

**შესანიშნავად** დაასრულა წლევანდელი სპორტული სეზონი თბილისელმა სტაიერმა **ოლეგ სტრიჟაკოვმა** („დინამო") მან ორჯერ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, ვოლგოგრადის სტადიონზე, საღამოს, უფრო მოკლე მანძილი 14 წუთსა და 11 წამში დაფარა, დილას კი 10 კილომეტრზე აჯობა ყველას — 29.38,91. შეგახსენებთ, რომ წლეულს, ოლეგ სტრიჟაკოვს ეკუთვნის საუკეთესო შედეგი საბჭოთა მორბენლებს შორის — 28.16,15, რაც საქართველოს ახალი რეკორდია.

ვოლგოგრადში თავი გამოიჩინა აგრეთვე საგარეჯოელმა **გელა ვეშაპიძემ** („შევარდენი"), რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა 110 მეტრზე თარჯრბენში — 14,33. უნდა აღინიშნოს, რომ გარბენი ძლიერ პირქარში მიმდინარეობდა. თბილისელი იგორ ივანოვი მეოთხე იყო (14,33), ხოლო ურისმტყორცნელი იოსებ შავერდაშვილი — მეხუთე (70,00 მ.).

**სურათზე:** ოლეგ სტრიჟაკოვი.

### დამოუკიდებელი სპორტული კონტაქტები

## ქართული რაგბი: ავტორიტეტი იზრდება

**გუშინ** იტალიას გაემგზავრა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები. გუნდი სიცილიის ქალაქ კატანიაში მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ, საკმაოდ პრესტიჟულ და ძლიერ ტურნირში, სადაც მოსალოდნელია უელსის, შოტლანდიის, იტალიისა და ინგლისის გუნდების გამოსვლაც.

ქართული რაგბის ავტორიტეტი სარაგბო სამყაროში დღითიდღე იზრდება. ამის დადასტურება გახლავთ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ჩვენი ნაკრების მიწვევა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს დიდად შეუწყო ხელი ჩვენმა თანამემამულემ, რომის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ბეგი თავართქილაძემ.

ნაკრების შემადგენლობაში გამოვლენ მორკინალები: ზაზა ბაკურაძე, კახა გიუნაშვილი, თამაზ ხუადე, რეზო ჯაფარაშვილი, თემურ ნარიმანიძე (ყველა — „ელმავალი"), ბესარიონ ლილუაშვილი, თენგიზ ტურძელაძე, ზურაბ რეხვიაშვილი, ალექსანდრე ნაჭყებია, ბადრი შვანგირაძე, თამაზ ფხაკაძე (ყველა — „აია"); ნახევარმცველები: დავით ჩავლეიშვილი („ელმავალი"), კახა მაჩიტიძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, პაატა ტყაბლაძე (ყველა — „აია"); სამმეოთხედელები: მერაბ ბესელია („აკადემია"), მერაბ მარჯანიშვილი, ჭაბო საცერაძე (ორივე — „ელმავალი"), ოლეგ ლიპარტელიანი (კაპიტანი), ნუგზარ ძაგნიძე (ორივე — „აია").

გუნდის უფროსი მწვრთნელია საქართველოს რაგბის კავშირის მდივანი დავით კილასონია, მწვრთნელები — თემურ ბენდიაშვილი („ელმავალი") და დუგლას კავთელაშვილი („აია").

### ჩატარდება საჭადრაკო ეტიუდების საერთაშორისო კონკურსი

## აკაკი წერეთელი-150

**საქართველოს** საჭადრაკო ხელოვნების წარმომადგენლებმა, კერძოდ ეტიუდისტებმა, რომელთა ოსტატობის მაღალი საერთაშორისო კლასი და შემოქმედებითი მიღწევები საყოველთაოდაა ცნობილი, გადაწყვიტეს, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად ჩაატარონ საჭადრაკო ეტიუდების საერთაშორისო კონკურსი.

მსოფლიო საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიაში პირველი შემთხვევა როდია, როცა საგანგებოდ აღინიშნება ქართველი ერის ღირსეულ შვილთა საიუბილეო თარიღები. გავიხსენოთ შოთა რუსთაველის 800 წლისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 წლისთავი და ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსები. ამ ღონისძიებებმა დიდი როლი შეასრულეს მსოფლიო საჭადრაკო ხელოვნების განვითარებაში.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საჭადრაკო კომპოზიციის რესპუბლიკური კომისიის თხოვნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აკაკი წერეთლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ეტიუდების საერთაშორისო კონკურსის ჩატრების თაობაზე. ეს ღონისძიება შევიდა დიდი პოეტის საიუბილეო პროგრამაში. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, გამოიყო აუცილებელი სახსრები. „ლელოს" რედაქცია საიუბილეო კომიტეტთან ერთად ამ კონკურსის ჩატარების ერთ-ერთი თაოსანია.

**კონკურსი ეწყობა ორ განყოფილებად (მოხაგები და ხაყაიმო ეტიუდები). ყოველი განყოფილებისათვის დაწესებულია 6-6 მთავარი პრიზი (I — 500 მანეთი, II — 400 მანეთი, III — 300 მანეთი, IV — 250 მანეთი, V — 200 მანეთი, VI — 100 მანეთი) და 3-3 სპეციალური პრიზი (I — 100 მანეთი, II — 80 მანეთი, III — 70 მანეთი), აგრეთვე საპატიო და საქები შეფასებანი.**

**მსურველებმა ორიგინალური ნაწარმოებები (2 ცალად) უნდა გამოგზავნონ 1991 წლის 1 იანვრამდე, გაზეთ „ლელოს" მისამართით.**

**კონკურსის მსაჯები არიან საერთაშორისო არბიტრი კომპოზიციაში, დიდოსტატი მ. ბოტვინიკი (მოსკოვი) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ი. აკობია (თბილისი).**

## მორიგი სხდომა — 26 სექტემბერს

**მოსახლეობის** გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს ვაუწყებთ, რომ მორიგი სხდომა გაიმართება ოთხშაბათს, 26 სექტემბერს „ლელოს" რედაქციაში.



13 და 16 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ჯგუფის მატჩები (იხ. მე-3 გვ.).

## ბოდიშს ვიხდით!

ძვირფასო რედაქცია! გთხოვთ მოგვცეთ საშუალება, გაზეთ „ლელოს" მეშვეობით საფეხბურთო კლუბ „გურიის", რაიონის ფეხბურთის ფედერაციის, გულშემატკივართა კლუბისა და რაიონის მშრომელთა სახელით ბოდიში მოვუხადოთ ფეხბურთელთა გუნდის „ქუთაისის" წევრებს და ყველა გულშემატკივარს 14 სექტემბერს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრის შემდეგ ლანჩხუთის ქუჩაში მომხდარი უმსგავსო საქციელის. გამო. იმ დღეს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ქვებით ჩაამსხვრია სტუმართა გუნდის ავტობუსის მინები. ამ ფაქტმა უკიდურესად აღაშფოთა ჩვენი მშრომელები, რომლებიც მოითხოვენ დამნაშავეთა მკაცრად დასჯას.

გულსატკენი და დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ „ქუთაისისა" და „გურიის" ფეხბურთელებს შორის მეგობრული და გულთბილი დამოკიდებულების მიუხედავად, ახლა ვაიგულშემატკივრები ქმნიან არაჯანსაღ ატმოსფეროს, თითქოს მორიგი მატჩის დროს, 19 სექტემბერს, ქუთაისში მოხდება საპასუხო აქცია.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ ორი გუნდის შეხვედრა, როგორც ყოველთვის, მომავალშიც მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდება და არავინ ჩაიდენს ულირს საქციელს.

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მიზანია სპორტულად სრულყოფილი, მაღალორგანიზებული მატჩების ჩატარების უზრუნველყოფა. ზოგიერთების უგუნურმა მოქმედებამ ხელი ვერ უნდა შეუშალოს ქართული ფეხბურთის წინსვლას.

რაიონის მშრომელთა სახელით კიდევ ერთხელ გვინდა ბოდიში მოვუხადოთ ფეხბურთელთა გუნდ „ქუთაისის" წევრებს და მის ყველა გულშემატკივარს.

**საფეხბურთო კლუბ „გურიის" პრეზიდიუმი, რაიონის ფეხბურთის ფედერაცია, რაიონის ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი.**

### მატიანე



ზაურ შეყრილაძის სპორტული ბიოგრაფია მჭიდროდ არის გადახლართული 60-იანი წლების მეორე ნახევრის სხვა უძლიერეს მოჭიდავეთა ცხოვრებასთან. ეს იყო პერიოდი, როცა თავისუფალ ჭიდაობაში განუკითხავად ბატონობდა მახაჩყალელი ალი ალიევი, მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის ჩემპიონი, ხალიჩის განუმეორებელი ოსტატი და უშიშარი მებრძოლი. ბედის უკუღმართობა იყო, რომ შეყრილაძე და ალიევი ერთ დროს ერთ წონაში გამოდიოდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ მახაჩყალელმა ათლეტმა მაღალ წონით კატეგორიაში გადაინაცვლა და ასპარეზი, ნებსით თუ უნებლიეთ, ზაურ შეყრილაძეს და მის თანაგუნდელს — ტარიელ ალიბეგაშვილს დაუთმო. ამ პერიოდიდან მოყოლებული საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვებულთა შორის (უმჩატეს წონაში) მორიგეობით ხან შეყრილაძეს, ხან კი ალიბეგაშვილს ვხვდებით.

შეყრილაძე — ქუთაისის საჭიდაო სკოლის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი — სწორედ რომ უნიკალური თვისებებისა და მონაცემების მქონე ათლეტი იყო. ღვაწლმოსილ მწვრთნელს და ჭიდაობის დიდ სპეციალისტს მიხეილ თიკანაძეს ხშირად უთქვამს, რომ შეყრილაძე შეჯიბრების დროს, ზედ ხალიჩაზე იგონებდა არა მარტო ახალ მოძრაობებს, არამედ ილეთთა მთელ ნაერთებსო. იგი ერთ ასეთ ეპიზოდს იხსენებდა ხოლმე;

1963 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალში (მაშინ გადამწყვეტ ეტაპზე სამი მოჭიდავე იბრძოდა), შეყრილაძეს საკმაოდ პრინციპული ბრძოლა ჰქონდა უკრაინელ ვ. ლოტვინთან. გამარჯვების შემთხვევაში ქართველი მოჭიდავე ვერცხლის მედალს მოიპოვებდა. ზაურმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და მოგებისათვის საკმარისი ქულებიც დააგროვა. მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთზე საკმაოდ რისკიანი შეტევა წამოიწყო, რომელიც ეფექტურად ვერ დამთავრა და მეტოქეს ბრძოლის გათანაბრების საშუალება მისცა.

შეხვედრის შემდეგ შეყრილაძეს ჰკითხეს: რა საჭირო იყო ამ შეტევის დაწყებაო. პასუხი ასეთი იყო: თავში ერთი საინტერესო აზრი მომივიდა და მისი შემოწმება მინდოდაო. დიახ, ზაურ შეყრილაძე ორიგინალურად მოაზროვნე მოჭიდავე გახლდათ, რომელიც მეტწილად თავის უჩვეულო ალღოსა და იმპროვიზაციის უნარს ეყრდნობოდა, ვიდრე ფიზიკურ ძალას. იგი ბევრს იკლებდა წონაში და ეს იყო მისი „აქილევსის ქუსლი". მაგრამ გუნდის ინტერესების დასაცავად უკან არ დაუხევია არასოდეს, ზოგჯერ კი ავადმყოფიც გამოსულა სარბიელზე, მეგობრებისთვის რომ მხარი აება.

**სურათზე:** ზაურ შეყრილაძე (მარცხნივ) საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ორთაბრძოლაში.

## ლექტორიუმმა მუშაობა განაახლა

საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისათვის 20 სექტემბერს, 18 საათზე კინოს სახლში მოეწყობა შეხვედრა კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასთან.

# ნარდი — არა მხოლოდ გასართობად...

**აპრილში** პირველად გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი სპორტულ ნარდში. კომერციულ ფირმა „ვესტას" ამ თაოსნობამ (იგი თავად იყო ორგანიზატორი და სპონსორი ჩემპიონატისა) დიდი რეზონანსი გამოიწვია რესპუბლიკაში, განსაკუთრებით თბილისში. და აი, გავიდა ხუთიოდე თვე პირველი ჩემპიონატის ჩატარებიდან და ორგანიზატორებმა და მონარდეებმა განიზრახეს უფრო ფართოდ დაენერგათ სპორტული ნარდი საქართველოში. ამ მიზნით გადაწყვიტეს ნარდის ეროვნული ფედერაციის ჩამოყალიბება, რომლის დამფუძნებელი კრება თბილისში, ჭადრაკის სასახლეში შედგა. საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს მიხეილ სურგულაძე, „ინფორმკულტურის" პრეზიდენტი. მ. სურგულაძე ფირმა „ვესტას" ყოფილი დირექტორია, ახალგაზრდა, ნიჭიერი, ალღოიანი კომერსანტი, ისეთი, დღევანდელ საქართველოში თითზე ჩამოსათვლელნი რომ არიან. სწორედ მანითავა პირველი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. მოვუსმინოთ მას:

— ბუნებრივია, საზოგადოებას უმთავრესად ჩვენი ფედერაციის მიზნები აინტერესებს. ქმთავითვე გეტყვით — უპირველესი მიზანი ნარდის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანებაა. „ლელოს" მკითხველს ემახსოვრება, როცა პირველი ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ, ვთქვი, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს ნარდის კლუბები, მაგრამ არ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია. ამიტომ ვფიქრობდით, მისი დაფუძნება, თუკი შევძლებდით, თბილისში მოგვეხდინა, მაგრამ მაშინ ნაკლებ ინფორმირებულნი ვეყავით. ახლა შევიტყვეთ, რომ არსებობს საერთაშორისო ასოციაცია და ჩვენი „სამოქმედო გეგმაც" ამის მიხედვით შეიცვალა, ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი „გლობალური მიზანია", მაგრამ ვიდრე ასოციაციაში გავწევრიანდებით, საჭიროა საქმის კეთება. 6 დეკემბერს თბილისში ჩატარდება საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი მოკლე ნარდში. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც გვსურს, თბილისში ვიხილავთ ნარდში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ამერიკელ ბილ რობერტს, მის თანამემამულეს, 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონს მაიკ სვობოდნის და დასავლეთგერმანელ ფილიპ მანმონშტაინს — ასევე მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულს. ჩემპიონატში ალბათ ითამაშებენ ისრაელელი, ფრანგი, ჰოლანდიელი და ინგლისელი სპორტსმენები.

● **სპორტსმენები?!**

— დიახ სპორტსმენები. უცხოეთში, სიტყვა მონარდე, სულაც არ იწვევს უსაქმურის, დროის ტყუილუბრალოდ მფლანგველისა და, „ყომარბაზის" ასოციაციას, პირიქით, იქ მონარდე ყველასათვის პატივსაცემი, გონიერი, ნებისყოფიანი სპორტსმენია.

● **ყველა მსურველს შეუძლია პირველობაზე თამაში?**

— როგორც საქართველოს ღია პირველობაზე, ასევე ფედერაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ შეჯიბრებაზე მხოლოდ ფედერაციის წევრებს აქვთ ასპარეზობის უფლება.

● **ეს ხომ არ შეზღუდავს იმ მოყვარულებს, ვისაც არ გააჩნია პირობები ფედერაციის წევრად გახდომისა?**

— პირობები? ყოველწლიური შესატანი 50 მანეთი და შეგიძლიათ გახდეთ ფედერაციის წევრი. ვფიქრობ, ნარდზე შეყვარებული ადამიანები ამ თანხაზე უკან არ დაიხევენ.

● **მხოლოდ წევრთა შემოსატანით იარსებებს ფედერაცია?**

(აქ ბატონ მიხეილს გაეცინა ჩემს გულუბრყვილობაზე. ლ. ჯ.).

— რასაკვირველია, არა. ალბათ ხალხი თავად გაიღებს თანხას ახლად ფეხადგმული ფედერაციის დასაფინანსებლად, გამოვძებნით „ფულის შოვნის" ახალ, ყოველმხრივ მისაღებ ფორმებსაც. საწევრო შემოსატანი ზღვაში წვეთია იმასთან, რაც ჩვენ გვჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უცხოელ პროფესიონალ მონარდეებს შესაფერისი საპრიზო ფონდი უნდა დავახვედროთ, დღეს მუქთად ვინ რას გეთამაშება? მაგალითისთვის გეტყვით: საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული მოკლე ნარდში, ფოთელი ემზარ ლაითიძე, გამონაკლისის წესით, მიწვეულია საფრანგეთის საკურორტო ქალაქ დევილის საერთაშორისო ტურნირზე. მას დასავლეთგერმანული ფირმა „ომნია" სპონსორობს. დევილში გამარჯვებული მონარდე ჯილდოდ მიიღებს 60 ათას გერმანულ მარკას, 10 ათას გირვანქა სტერლინგს და საუკეთესო ვიდეოაპარატურის მწარმოებელი ფირმის — „ფლეი პუნქტის" ვიდეოკამერას. თავად განსაჯეთ, ამ პრიზების მფლობელი ჩამოვა თბილისში და მუქთად გაგიგორებს კამათელს?.. მე ცოტა ეჭვი მეპარება... მით უმეტეს, რომ სისტემატურად ტარდება ათასგვარი ტურნირები — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების და თასების გათამაშებათა გარდა, ამსტერდამის საშობაო ტურნირი, ამერიკის, გფრ-ის, იაპონიის, ნევადას შტატის ღია ჩემპიონატები, სადაც საპრიზო ფონდი არანაკლებ სოლიდურია, ვიდრე დევილის ტურნირზე.

● **მაგრამ, მარტო საერთაშორისო შეჯიბრებები არას გვარგებს, საჭიროა რესპუბლიკაში ნარდის არა მხოლოდ პოპულარიზაცია, არამედ მისი საფუძვლიანად დანერგვა.**

— ყველაზე „უებარი მეთოდი" შეჯიბრებების, ტურნირების გამართვაა. ფედერაცია სისტემატურად ჩაატარებს რაიონულ, ზონალურ, რეგიონალურ და სხვა მასშტაბის ჩემპიონატებს, რაც არამარტო გაზრდის ნარდით დაინტერესებულთა რიცხვს ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ, წარმოაჩენს პერსპექტიულ, ნიჭიერ მონარდეებს, რომლებიც მომავალში დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას საზღვარგარეთ.

ასე რომ, მეგობრებო, ყოველ ჩვენგანს აქვს პოტენციური შესაძლებლობა, გახდეს საქართველოს მონარდეთა ღია ჩემპიონატის — რესპუბლიკაში გამართული პირველი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე, მით უმეტეს, ამ შეჯიბრებაში მოასპარეზე ჩვენს მონარდეებს წინასწარი შესარჩევი ტურნირი გამოავლენს, რომელიც ნოემბრის დასაწყისში გაიმართება. მაშ, მოდით, ნარდი, ეს უძველესი აზარტული თამაში, ჩვენში ქორწილებისა და წვეულებების „წინასაეტაპო" — დროის გასაყვანი საშუალებიდან — ნამდვილ სპორტულ თამაშად ვაქციოთ. ვითომ სხვა ჩვენზე უკეთ გააგორებს კამათელს?!

**ლევან ჯავახიშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

**თბილისი. სსი-ს სტადიონი. 15 სექტემბერი, „შევარდენი" (თბილისი) — „ზოოვეტი" (თბილისი) 24:9 (12:9).**

ასეთი რამ არა მარტო ჩვენს, არამედ მსოფლიო რაგბიშიც იშვიათად ხდება. „შევარდენს" უკლებლივ ყველა ქულა გარე ნახევარმცველმა ნიკა იურინმა შესძინა: ორი ლელო, ორი გარდასახვა, სამი საჯარიმო და ერთი არეკნი — შედეგი მართლაც რომ შთამბეჭდავია.

პირველ ნახევარში „ზოოვეტმა" ტოლი არაფერში დაუდო მასპინძლებს და ერთხანს ინიციატივასაც ფლობდა. ჭიპაშვილმა ლელო, ხოლო ცინცაძემ გარდასახვა და საჯარიმო გაიტანა. შესვენების შემდეგ კი მათ ველარ შეძლეს „შევარდენის" შეჩერება, რომელიც ყველა რგოლში უპირატესობას ფლობდა და ერთიმეორეზე სახიფათო იერიშებით კრიტიკულ სიტუაციებში აგდებდა მეტოქეს. „შევარდენის" მოთამაშეებმა სამჯერ ლელოშიც შეიტანეს ბურთი, მაგრამ ზოოვეტელთა თავგანწირული თამაშის გამო ანგარიშის მეტად გაზრდა ვერაფრით მოახერხეს.

**თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 16 სექტემბერი. „მიმინო" (თბილისი) — „ასოციაცია" (თბილისი) 6:6 (3:6).**

მეტოქეებმა განსხვავებული გზები აირჩიეს გამარჯვების მოსაპოვებლად. ასოციაციელთათვის დამახასიათებელ ხელით გაშლილ თამაშს, „მიმინომ" შეკრული, ერთთავად მორკინალებით მოქმედება ამჯობინა, რასაც დაემატა მათ მიერ მეტოქის ზურგში ფეხით გაგზავნილი ბურთების გამოყენებით მიზნის მიღწევის მცდელობა.

თავიდან გაბრიჩიძემ და ძნელაძემ საჯარიმოები „გაცვალეს", ხოლო ტაიმის მიწურულს გაბრიჩიძემ კვლავ საჯარიმოთი წინ გაიყვანა „ასოციაცია".

მეორე ტაიმში „ასოციაციის" ასაკოვანი მოთამაშეები ცოტა არ იყოს დაიღალნენ, რითაც ისარგებლა „მიმინომ" და ერთხანს, ათი წუთის (!) მანძილზე, მეტოქე მის 22-მეტრიან მოედანში ჰყავდა „გამომწყვდეული". მაგრამ მიმინოელებმა ვერაფრით შეძლეს ლელოს გატანა, თუმცა მათი მოთამაშეები სამჯერ ზედ ლელოს ხაზთან შებოჭეს.

მხოლოდ „შტურმის" ბოლოს შეძლო ძნელაძემ საჯარიმოთი ანგარიშის გათანაბრება.

ამის შემდეგ ორივე გუნდი ანგარიშმიუცემელ იერიშზე გადავიდა. ჯერ „მიმინომ" მოიგერია გვიანიშვილის და კურატიშვილის გარღვევები, ხოლო შემდეგ ასოციაციელებს მოუხდათ ძნელაძის და ჯანელიძის რეიდების შეჩერება.

სიტუაცია უაღრესად დაძაბული იყო, რაზედაც გუნდების დამრტყმელების — ძნელაძის და გაბრიჩიძის მიერ ბოლო წუთებზე ხელსაყრელი მდგომარეობიდან გაცუდებული საჯარიმოები მეტყველებს. ერთი სიტყვით, მეტოქეები „ზავით" დაშორდნენ ერთმანეთს.

**თბილისი. სსი-ს სტადიონი. 16 სექტემბერი. „აკადემია" (თბილისი) — „გელათი" (ქუთაისი) 15:15 (3:6).**

აკადემიელ... თამაში ... მანამდე, ანუ შეხვედრის ... ნახევარი საათის მანძილზე, ქუთათურები ძირითადად „დერეფანში" უკეთ თამაშის წყალობით სჯობნიდნენ მეტოქეს, გაძევების ... თბილისელები თავგამეტებით თამაშობდნენ და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „აკადემიის" მორკინალმა ტოლი არაფერში დაუდო ჭარბ მეტოქეს. თამაში უფრო საინტერესო გახდა და შეხვედრის ბოლო ათი წუთის წინ „აკადემიამ" ბოლოს და ბოლოს გაათანაბრა ანგარიში — 9:9, „გელათის" გარემარბ ქიმუცაძის მიერ გატანილ სამ საჯარიმოს „აკადემიამ" შ. მოდებაძის ლელოთი და გ. ძაგნიძის საჯარიმოთი და გარდასახვით უპასუხა. აქ თამაში ახალი ძალით გაჩაღდა: „გელათი" ჩუბინიძის ლე-



ლოს წყალობით ისევ დაწინაურდა, შემდეგ ქუთათურებმა ლელოს გატანის კიდევ ერთი ნაღდი შანსი გაუშვეს ხელიდან, თანაც „აკადემია" ერთობ ამჩატდა, თავისი 22-მეტრიანი მოედნიდან წამოიწყო თავზეხელაღებული იერიშები და უეცრად გაუმართლა კიდეც: „გელათი" შეცდა, ბურთი „აკადემიის" გარემარბ ორჯონიკიძეს ჩაუვარდა ხელში, მან კი ოსტატურად გადაუგდო თავზემოთ ბურთი მეტოქეს, მერე თავად დაეუფლა მას, ქუთათურთ 50-მეტრიანი გარბენით მოუგო და ბურთი მარცხენა ალამთან დადო. ანგარიში გათანაბრდა, აქ კი გ. ძაგნელმა მეორედაც გარდასახა ლელო კიდის ხაზიდან და გუნდს გამარჯვებინა.

ამავე დღეს ჭიათურაში ადგილობრივმა „იმერეთმა" დაამარცხა თბილისის „უნივერსიტეტი" — 24:9.

**ტურის მიმოხილვა მოამზადეს ზაალ ბიბინეიშვილმა და მერაბ რატიშვილმა**

## ისევ „ნაცადი" მეთოდით?

### ლახტის წრეში

გაზეთ „ლელოს" 12 სექტემბრის ნომერში გაცნობეთ საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის გუნდის წარმატების შესახებ („მედალოსანთა გუნდი"), რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა მონათესავე სასწავლებლების საკავშირო პირველობაზე. იქვე ვწერდით, რომ ასეთი შედეგი მანამდე საქართველოს მძლეოსნობის არც ერთ სკოლას არ ჰქონია.

მაგრამ ნათქვამია, ერთი წვეთი კუპრი მთელ კასრ თაფლს გააფუჭებსო, თუმცა ის დახანანი ინციდენტი, რაც ამ პირველობასთან დაკავშირებით შევიტყვეთ, უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, წვეთი კუპრი. წინასწარი შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებულ სკოლას შეჯიბრებაზე თავისი სახელით გამოუყვანია სხვა სკოლის აღსაზრდელი და მის მიერ მოპოვებული ქულებით კარგად უსარგებლია.

ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ამბავი რესპუბლიკის გარეთ კი არ „გასკდა", როგორც ადრე იყო, როცა მოსკოვიდან ასეთი დარღვევის გამო მრისხანე მითითებები მოგვდიოდა, არამედ იგი განაცხადების საგულდაგულო განხილვის შემდეგ შენიშნეს ჩვენში, კერძოდ, მძლეოსნობის რესპუბლიკურ გაერთიანებაში. ამ საქმის ფართო განხილვა მალე შედგება (როცა დეტალები დაზუსტდება) და ჩვენც მაშინ გაცნობებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

# 19-23 სექტემბერს-წალენჯიხაში

გიხაროდეთ!

**ცხენოსნობის** გულშემატკივრებს და დამფასებლებს ვურჩევთ, 19 სექტემბერს მიაშურონ წალენჯიხას — ამ დღეს, 10 საათზე აქ გაიხსნება რაბ კოხტავას სახელობის საცხენოსნო სპორტული კლუბი, 19-23 სექტემბერს კი ამ ქალაქში გაიმართება რესპუბლიკური შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

ჩვენი ცხენოსნობის ეროვნული სახეობების სანახავად, ფირზე გადასაღებად და თავიანთი მკითხველისთვის გასაცნობად წალენჯიხაში ჩამოდიან ამერიკული ჟურნალის „პოლოს" თანამშრომლები. მივესალმებით ჩვენი ეროვნული საუნჯით უცხოეთის ჟურნალისტების დაინტერესებას.







## ტელეტაიპი - მკითხველს

**მინსკი.** ტანვარჯიშში ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი პირველად გახდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი და კეთილი ნების თამაშებში გამარჯვებული, 17 წლის ხერსონელი გოგონა ნატალია კალინინა — 39,900 ქულა. ვაჟთა შორისაც 18 წლის მინსკელმა ვიტალი შჩერბომ ეს უმაღლესი წოდება პირველად დაიმსახურა — 59,750 ქულა.

**ზაპოროჟიე.** კიეველი ალექსანდრა ტიმოშენკო გახდა სსრ კავშირის თასის მფლობელი მხატვრულ ტანვარჯიშში. საპატიო ჯილდო მან ზედიზედ მესამედ მოიპოვა, ამიტომ, თასს სამუდამოდ დაიტოვებს. მეორე ადგილი ასევე კიეველ ოქსანა სკალდინას ხვდა, მესამე კი ირკუტსკელ ოქსანა კოსტინას.

**მოსკოვი.** საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფმა ნხლ-ს პროფესიული ლიგის ჰოკეისტთა ერთ-ერთმა უპოპულარესმა კლუბმა „მონრეალ კანადიენსმა" მორიგი მატჩი გამართა ადგილობრივ „დინამოსთან" და დამარცხდა ანგარიშით 1:4 (0:1, 0:1, 1:2).

**ტაშკენტი.** სსრ კავშირის თასი მძლეოსნურ მრავალჭიდში მოიგეს სტავროპოლელმა ტატიანა ჟურავლიოვამ და ტაშკენტელმა რამილ განიევმა. უნდა აღინიშნოს, რომ ტაშკენტელს საპატიო ჯილდო ზედიზედ მეორედ ხვდა.

**ვლადიკავკაზი.** აქ გაიმართა ქვეყნის პირადი გუნდური ჩემპიონატი მრავალდღიან მოტორბოლაში. გუნდური გამარჯვება ბელორუსეთის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: არტურ სირბიძე (500 კბ. სმ.), ალექსანდრ სიზოვი (350 კბ. სმ), ვიქტორ სიდოროვი (250 კბ. სმ) და ტოივო ნიკოპენსიუსი (125 კბ. სმ.).

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„ივერია“ (ხაშური) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:0 (0:0).**

**ხაშური. „ივერიის“ სტადიონი. 15 სექტემბერი.**

**„ივერია“: ბრიაუნისი, ჰანგურიძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ლაცაბიძე (ხარებაშვილი), ხარაზიშვილი, ქიმერიძე, პოზოიანი (აბაზაძე), რ. ნოზაძე, მღვდელაძე, რობაქიძე.**

**„ოდიში“: ჰანტურია, ჰაჰუა, სართანია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ჯიქია, მალანია, შეროზია, ბიგვავა, ზდანჩუსი, თევზაძე.**

**მსაჯები: რ. ტალიაშვილი (თბილისი), პ. დოგრაშვილი, ა. კანდელაკი (ორივე — ქუთაისი).**

ხაშურის „ივერიამ“ უხეიროდ დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე და თავის უშუალო კონკურენტებთან შინ ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო. მაგრამ „ივერიის“ გულშემატკივრების გასახარად, გუნდმა მალე დაძლია კრიზისი და უკანასკნელ თამაშებში საგრძნობლად გამოასწორა ერთობ კრიტიკული სატურნირო მდგომარეობა.

მატჩი ხაშურელთა იერიშებით დაიწყო, თუმცა ეს იერიშები ზუგდიდელთა კარის მისადგომებთან „იმსხვრეოდა“ და ფაქტობრივად, ვერაფერ საშიშროებას ვერ უქადდა მეკარე ჰანტურიას. „ოდიშმა“ კი შეხვედრა კონტრშეტევებით დაიწყო, რომლებიც სწრაფი თავდამსხმელების — ბიგვავასა და ზდანჩუსის ინდივიდუალურ თვისებებზე უფრო იყო აგებული, ვიდრე კოლექტიურ თამაშზე. და მაინც, მიუხედავად ორივე გუნდის მცდელობისა, პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მეოცე წუთზე ლაცაბიძის შორიდან დარტყმას, რომელიც ლამაზ ნახტომში კუთხურზე მოიგერია მეკარემ.

მეორე ტაიმში ტაქტიკა არც ერთ გუნდს არ შეუცვლია, თუმცა ხაშურელთა შეტევები უფრო სწრაფი გახდა, აქედან გამომდინარე — უფრო სახიფათოც. ზუგდიდელთა კონტრშეტევებიც გამწვავდა. 52-ე წუთზე ბიგვავა — ზდანჩუსის კომბინაციის შემდეგ, ეს უკანასკნელი პირისპირ აღმოჩნდა მეკარე ბრიაუნისთან. ამ ორი ბალტიისპირელი ფეხბურთელის დუელი კი მეკარის სასარგებლოდ დამთავრდა.

64-ე წუთზე ივერიელებმა კუთხურის უფლება მოიპოვეს. ჩამოწოდებულ ბურთს პირველი თავდამსხმელთა დასახმარებლად ჩამოსული ჰანგურიძე მისწვდა, რომელმაც მოახერხა კარის ხაზზე მდგომ სამ მცველს შუა გაეტარებინა იგი. 1:0 — ასე გაიხსნა ანგარიში, რომელიც აღარ შეცვლილა.

სამწუხაროდ, შეხვედრა ძალზე უხეშად წარიმართა — უხეშობდნენ ორივე გუნდის ფეხბურთელები და, ალბათ, მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობაა, რომ არავინ დაშავებულა, ის ფაქტი, რომ ამ შეხვედრაში გაფრთხილება არავის მიუღია, მხოლოდ და მხოლოდ მსაჯის უპრინციპობისა თუ არაფრისმომტანი ლოიალობის შედეგია. ასეთი რამ კი ეროვნულ ჩემპიონატს, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ უხდება.

**გიორგი გოგოლაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„დილა“ (გორი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:0.**

**ჰიათურა. „მაღაროელის“ სტადიონი. 15 სექტემბერი.**

**„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ქობეხოვი, ხანიაშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, მელქაძე (ხორგუაშვილი).**

**„სამგურალი“: მიქაძე, ჩიხლაძე, წიქარიშვილი (იონანიძე, იობიძე), ხურცილავა, ლ. ფეხტვენიძე (მუშკუდიანი), ხვიტია, ცნობილაძე, კერესელიძე, გოგელიძე, ხუნდაძე, ხარაბაძე.**

**მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, მ. ჰელიძე, ე. სილაგავა (სამივე — თბილისი).**

ეს შეხვედრა გორის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო ქართული მარგანეცის ქალაქში გაიმართა. ჭიათურელმა ფეხბურთის მოყვარულებმა და სპორტკლუბ „მაღაროელის“ სტადიონის ხელმძღვანელობამ მოასპარეზე კოლექტივებს გულთბილად უმასპინძლეს.

„დილა“ და „სამგურალი“ გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებიან, განსხვავება მათ შორის ერთი ქულაა და ამდენად, მათი თამაში სანახაობრივად მეტად საინტერესო გამოდგა.

შეხვედრის მეორე წუთზე „დილას“ კარის მიმართულებით დაინიშნა ჯარიმა, წიქარიშვილმა ძლიერად დაარტყა დაახლოებით 20-22 მეტრიდან, მაგრამ ბურთი ძელმა მოიგერია. პირველი ტაიმი გარდამავალი სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა. 35-ე წუთზე კარგად ითამაშა „სამგურალის“ კარის დარაჯმა მიქაძემ. ტაიმის დასასრულს, 43-ე წუთზე მწვავედ შეუტიეს გორელებმა, მაგრამ ხელიდან გაუშვეს ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, როცა მარეხაშვილის დარტყმული თერთმეტმეტრიანი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმი ძირითადად „დილას“ უპირატესობით წარიმართა. 52-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ სახიფათოდ გავიდა გორელთა ყველაზე აქტიური თავდამსხმელი ნეფარიძე, მაგრამ მიქაძემ იმარჯვა. არც „სამგურალის“ კონტრიერიშებს გამოუღია შედეგი. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 54-ე წუთზე კერესელიძის ინდივიდუალური გარღვევა და გასვლა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ, უკვე მერამდენედ ამ შეხვედრაში, ძელმა განმუხტა საგოლე მომენტი.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0 და ქულათა თანაფარდობა ამ გუნდებს შორის კვლავ უცვლელი დარჩა.

**ომარ ჭუმბურიძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„იბერია“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 5:0 (2:0)**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი. 15 სექტემბერი.**

**„იბერია“: ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია (მაჰავარიანი), ქველაძე, კაჰარავა (ყაველაშვილი), გურული, გოგიჩაიშვილი (ყიზილაშვილი).**

**„კოლხეთი“: ბაბუაძე, ჭეჭელავა, გვახალია, ფარფალია, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, კალუგა, თევზაძე (ხურცილავა), ჭიჭინაძე.**

**მსაჯები: თ. ლაცაბიძე, შ. ბერიძე, (ორივე — თბილისი), ა. ჟიჟიაშვილი (მცხეთა).**

საინტერესო, ლამაზი თამაში იხილა ამ დღეს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა. განსაკუთრებით დაძაბულად წარიმართა მატჩის პირველი ნახევარი. ხობელთა გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს, მაგრამ ოსტატობამ და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა.

პირველი ბურთი 39-ე წუთზე გავიდა — რევიშვილმა ზუსტად დაარტყა ხობელთა კარში, ოთხი წუთის შემდეგ იბერიელთა სასარგებლოდ დანიშნული 11-მეტრიანით ანგარიში ორამდე გაზარდა ჩემპიონატის ერთ-ერთმა ბომბარდირმა გურულმა.

მეორე ტაიმი ხობელებმა შედარებით სუსტად ჩაატარეს. თბილისელები გამუდმებით უტევდნენ სტუმართა კარს და მე-60 და 78-ე წუთებზე გურულმა კიდევ ორი ბურთი გაიტანა „კოლხეთის“ კარში და „ჰეთ-თრიქიც“ შეასრულა.

„კოლხეთის“ ეპიზოდურმა შეტევებმა შედეგი ვერ გამოიღო, ახლად შემოსულმა ახალგაზრდა თბილისელმა თავდამსხმელმა ყაველაშვილმა კი 85-ე წუთზე მეხუთედ აიღო სტუმართა კარი და საბოლოოდ წერტილი დაუსვა მატჩის შედეგს.

ამ გამარჯვებით „იბერია“ ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

**გია ბურდული.**

### გათამაშების ცხრილი • უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 18 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია“ (თბილისი) | 24 | 17 | 4 | 3 | 71-16 | 55 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 24 | 17 | 3 | 4 | 48-17 | 54 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 24 | 16 | 5 | 3 | 61-11 | 53 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 24 | 16 | 5 | 3 | 48-13 | 53 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 25 | 15 | 4 | 6 | 42-22 | 49 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 23 | 13 | 3 | 7 | 40-24 | 42 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 24 | 10 | 7 | 7 | 38-26 | 37 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 25 | 9 | 7 | 9 | 23-29 | 34 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 25 | 8 | 8 | 9 | 33-30 | 32 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 24 | 8 | 6 | 10 | 30-34 | 30 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 25 | 8 | 5 | 12 | 32-53 | 29 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 25 | 7 | 7 | 11 | 27-31 | 28 |
| „დილა“ (გორი) | 23 | 7 | 5 | 11 | 29-36 | 26 |
| „ივერია“ (ხაშური) | 25 | 8 | 1 | 16 | 24-52 | 25 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 25 | 7 | 4 | 14 | 26-44 | 25 |
| „მზიური“ (გალი) | 24 | 7 | 4 | 13 | 30-52 | 25 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 24 | 4 | 6 | 14 | 21-36 | 18 |
| „ლიახვი“ (ცხინვალი) | 25 | 0 | 0 | 25 | 11-108 | 0 |

## I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მუქურა“ (ქობულეთი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „კახეთი“ (თელავი) 0:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „სიხარული-90“ (გაგრა) 4:1, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „არაგვი“ (დუშეთი) 1:4, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 5:1, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:3, „სიონი“ (ბოლნისი) — „სულორი“ (ვანი) 2:3.



თამაშობენ პირველი ჯგუფის გუნდები: „ალაზანი“ — „კახეთი“.
ოლეგ გველესიანის ფოტო.

## ევროპულ თასებზე

თავიანთი ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები გამართეს გუნდებმა, რომლებიც 19 სექტემბერს უნდა შეხვდნენ საბჭოთა ფეხბურთელებს ევროპის საკლუბო ტურნირებზე.

მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქემ ჩემპიონთა თასზე პრაღის „სპარტამ“ თავის მინდორზე ანგარიშით 3:1 დაამარცხა „ნიტრა“.

უეფა-ს თასზე დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქემ შოტლანდიის „ჰართსმა“ სტუმრად მოუგო გათამაშების აუტსაიდერს „ჰიბერნიანს“ — 3:0. აღსანიშნავია, რომ „ჰართსის“ თავდამსხმელმა რობერტსონმა ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა, ამით განაწყენებული გულშემატკივრები გადმოცვივდნენ მინდორზე და თავს დაესხნენ რობერტსონს. არბიტრი იძულებული იყო თამაში შეეწყვიტა, მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმეში პოლიცია ჩაერია, შესაძლებელი შეიქნა თამაშის გაგრძელება.

## უმაღლესი ლიგა

გასულ შაბათს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:0, „დინამო“ (მინსკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1, „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1, „დინამო“ (კიევი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „არარატი“ (ერევანი) 3:2.

19 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის არიან კიევის „დინამო“ —28 ქულა, ცსკა—25 და მოსკოვის „ტორპედო“ — 24. მოსკოვის „სპარტაკს“ 18 თამაშის შემდეგ 23 ქულა აქვს. ბოლო ადგილზეა ვოლგოგრადის „როტორი“ — 10 ქულა 18 თამაშში.

## I ლიგა

16 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 32-ე ტურის მატჩები.

სოხუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი“, თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) 2:1, „ტირასი“ (ტირასპოლი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 2:0, „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0.



## ფეხბურთის ამბები

● **წლევანდელი** მსოფლიო ჩემპიონატის აღმოჩენა, კოსტა-რიკის ნაკრები დისკვალიფიკაციის საშიშროების წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ 1985 წელს ჩინეთში გამართულ მოზარდთა მსოფლიო ჩემპიონატში კოსტა-რიკელთა რიგებში უთამაშია ორ ასაკგადაცილებულ მოთამაშეს (ერთი მათგანი დღევანდელი გუნდის ლიდერი ერნან მედფორდია). თუ ბრალდება დადასტურდა, ქვეყნის ყველა ნაკრები დიდი ხნით გამოეთიშება საერთაშორისო ცხოვრებას.

● **პრაღის** „სპარტას“ ბოლო წარმატებები დაკავშირებულია მწვრთნელის იოზეფ იარაბინსკის სახელთან. ახლა იარაბინსკიმ ორი წლით თურქეთში წასვლა გადაწყვიტა. იგი იმუშავებს კლუბ „გენჩლერბირლიგში“.

● **უნგრეთის** ნაკრების ძირითადი მეკარე პეტერ დისტლი, რომელიც უარს ამბობდა უცხოეთში გამგზავრებაზე, მოულოდნელად დათანხმდა გდრ-ის „როტვაისის“ წინადადებას. ახლა კლუბში მასთან ერთად ითამაშებენ პოლონელი ფაბრინსკი და ჩეხი ნემეცი.

● **არგენტინულმა** ჟურნალმა „ელ გრაფიკომ“ ჩაატარა გამოკითხვა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელ-კანდიდატთა პოპულარობის გასარკვევად. ხმათა 33 პროცენტი მიიღო 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონმა პასარელამ, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ვიერა — 30, აიმარი — 8, მენოტი — 6 და ბილარდოს თანაშემწე პიჩამე — 4 პროცენტი.

● **კოლუმბიის** ნაკრების მწვრთნელი ფრანსისკო მატურანა ტოვებს სამშობლოს. ახლა იგი ესპანეთის „რეალ ვალიადოლიდთან“ იმუშავებს. გამორიცხული არაა, რომ იქვე გადავიდეს ნაკრებისა და „ატლეტიკო ნასიონალის“ მეკარე იგიტა. ნაკრების მცველი ჰერეროც („ამერიკა“) ესპანეთში გააგრძელებს კარიერას. იგი „მალაგამ“ შეიძინა.

● **ევროპული** კლუბების ინტერესი აფრიკელი მოთამაშეების მიმართ არა და არ კლებულობს. კამერუნელი მფედე შეუერთდა თანაგუნდელ მაკანაკის ესპანეთის „მალაგაში“. ნახევარცმველი მბოუ 3 წლით შეისყიდა პორტუგალიის „გიმარაეშმა“. ალჟირის ნაკრების ფეხბურთელი ამანი ბელგიის „ანტვერპენიდან“ თურქეთის „ადანასპორმა“ გადაიბირა. ხოლო განელი პრინს პოლეი — ბელგიის „ბეერშოტმა“.

● **ბრაზილიის** „ვასკო და გამას“ უფროს მწვრთნელად დაინიშნა ცნობილი სპეციალისტი მარიო ზაგალო. ცნობილი გახდა ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე უღიმღამო გამოსვლის შემდეგ იკლო ინტერესმა ფორვარდ ბებეტოსადმი.

● **1986 წლის** მსოფლიო ჩემპიონმა, ხოსე ლუის ბრაუნმა განაცხადა, რომ თავს ანებებს ფეხბურთს. მიმომხილველთა აზრით, ამ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა იტალიის მსოფლიო პირველობის წინ ბრაუნის მიერ არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ადგილის დაკარგვამ. ახლა ბრაუნი მწვრთნელის სპეციალობის დაუფლებას აპირებს.

● **მადრიდის** „ატლეტიკოს“ პრეზიდენტის ჰესუს ჟილის მუდმივი კონფლიქტები მწვრთნელებთან დიდი ხანია ჩვეულებრივ ამბად იქცა. მორიგი სკანდალი დამთავრდა შარშანდელი ხელმძღვანელის პეიროს გათავისუფლებით. მისი შემცვლელი გახდა იუგოსლაველი ტომისლავ ივიჩი, ცნობილი სპეციალისტი, რომელიც აქამდე მუშაობდა ევროპის წამყვან კლუბებთან.

● **აშშ-ს** ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ესაა ალან როტენბერგი ლოს-ანჯელესიდან. ავსტრიული გაზეთი „დი პრესე“ აღნიშნავს მის დიდ ორგანიზატორულ ნიჭს და ზეადამიანურ შრომისუნარიანობას.

● **ბულგარელი** ფეხბურთელების ექსპორტი უცხოეთში დიდი ხანია აღარავის აკვირვებს. ახლა, როცა „ბარსელონაში“ ხრისტო სტოიჩკოვი ძირითადი ბომბარდირი გახდა, კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ახალგაზრდა ბულგარელი ფორვარდებისადმი. შვეიცარიის „ქსამაქსმა“ ცსკა-დან 3 თვით მიიწვია 23 წლის რალკო კალაიჯევი. თუ სტაჟირების პერიოდში იგი გუნდს მოერგება, გაფორმდება გრძელვადიანი კონტრაქტი. უცხოეთში წავიდნენ აგრეთვე ნ. ჟელევი („საარბრიუკენი“, გფრ) და გ. იორდანოვი („ხიხონი“, ესპანეთი).

(საქ. ინფ.)

# ველოსპორტის ამბები

**მადრიდი.** „ტურ კატალონიის“ 70-ე საიუბილეო რბოლა ესპანეთის ჩემპიონმა, 27 წლის ლაუდელინო კუბინომ მოიგო. მეორე ადგილზე ასევე ახალგაზრდა ესპანელი ველოსიპედისტი მარინო ლეხარეტა გავიდა. რბოლის ყველაზე ავტორიტეტული მონაწილე, 1988 წლის „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი პედრო დელგადო (ესპანეთი) მესამე იყო. გამარჯვებულს იგი 26 წამით ჩამორჩა.

**პარიზი.** ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების ტრადიციული რბოლის მეშვიდე ეტაპზე გამარჯვების შემდეგ (180 კმ — 4 საათში, 54 წუთსა და 15 წამში) ფრანგმა მარსიალ გაიიანმა კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. მერვე, ბოლო ეტაპის წინ ლენინგრადელი ვიაჩესლავ ეკიმოვი მეცამეტე ადგილზეა და 3 წუთზე მეტს აგებს ლიდერთან.

ქალთა რბოლაში მთავარი ფავორიტები არიან ამასწინანდელი მსოფლიო ჩემპიონები: კატრინ მარსალი (საფრანგეთი) და ლეონტინ ვან მოორსელი (ჰოლანდია). ჯერჯერობით წინაა ფრანგი ველოსიპედისტი, მაგრამ ჰოლანდიელი მას მხოლოდ 48 წამით ჩამორჩება.

**სანტიაგო.** დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ექვსდღიანი რბოლა ტრადიციულ თასზე — „ენტელ ჩილე“, შეჯიბრების ტრასა წყნარი ოკეანის სანაპიროს მიჰყვებოდა 4 ათას მეტრის სიმაღლეზე, რაც ველოსიპედისტებს დამატებით სიძნელეებს უქმნიდა. გამარჯვება მოიპოვა არგენტინელმა ომარ კონტრერასმა, რომელიც ჩილეს სატელეფონო კომპანიის გუნდის ღირსებას იცავდა.

# რეკორდების კოლექციონერი

**მანაუსი.** ბრაზილიის ამ ქალაქში მოეწყო იბერო-ამერიკული ტურნირი მძლეოსნობაში, რომელშიც თავი გამოიჩინა ადგილობრივმა სპრინტერმა რობსონ კაეტანომ. 200-მეტრიან დისტანციაზე მან აჩვენა 20.43 და სამხრეთ ამერიკის ახალი რეკორდი დაამყარა. საინტერესოა, რომ კაეტანოს ეკუთვნის კონტინენტის რეკორდები 100 და 400 მეტრზე რბენაშიც. ასე რომ, ნიჭიერმა სპრინტერმა თავისი მიღწევები გაასამმაგა.

უნდა ითქვას ისიც, რომ კაეტანოს დამაჯერებელმა გამოსვლამ ხელი შეუწყო ბრაზილიელთა გუნდურ გამარჯვებას ტურნირში, რომელშიც სულ 12 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ (ვერ წარმოადგინა ნაკრები მხოლოდ კუბამ). ბრაზილიელებმა რვა ოქროს მედალი მოიპოვეს.

# ავსტრალია არ ხუმრობს

**ტოკიოში,** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე ავსტრალიის დელეგაციას ხელმძღვანელობენ პრემიერ-მინისტრი ბობ ჰოუკი და ოპოზიციის ლიდერი მთავრობაში ჯონ ჰიუსონი. ორივე სახელმწიფო მოღვაწე ხელებდაკაპიწებული იბრძვის, იმისთვის, რომ 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის უფლება მელბურნმა მიიღოს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ოლიმპიური ჩემპიონები მიურეი როუზი, დები ფლინტოფკინგი და მიტჩელ-ფორდი, აგრეთვე, ორი აბორიგენი — კოორის ხალხების იურისკონსულტი ტხო და თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონი კო პერე. სულ კი დელეგაცია, რომელიც უკვე სამი წელია ამ საკითხზე მუშაობს, 44 კაცისგან დაკომპლექტდა.

# იუტა მიულერის გაჭირვება

მსოფლიოში ყველაზე პოპულარულმა და დაფასებულმა მწვრთნელმა ფიგურულ ციგურაობაში — იუტა მიულერმა (გდრ), რომელმაც რამდენიმე მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი აღზარდა (გაბრიელა ზაიფერტი, ანეტ პეტჩი, კატარინა ვიტი და სხვ.), შესაძლოა თავი დაანებოს სპორტს, მაგრამ ეს მწვრთნელის სურვილით კი არ, მოხდება, არამედ ობიექტური პირობებით და ორი გერმანიის სრული გაერთიანების შედეგად მოსალოდნელი უმუშევრობით. ყოველ შემთხვევაში, დღეს მიულერს არსად არ აძლევენ საციგურაოს საწვრთნელი ვარჯიშების ჩასატარებლად, საკუთარი ფულით სპორტული ბაზის დაქირავება კი მას, უბრალოდ, არ შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქი ჰემნიცი (ყოფილი კარლ-მარქს-შტადტი) მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდის და სახსრები არა აქვს ძველი საციგურაოს შესაკეთებლად.

# მსოფლიო ჩემპიონატები ავტორბოლებში

**სპორტის** ტექნიკური სახეობებიდან ავტორბოლა ერთ-ერთი ყველაზე რთული, სახიფათო, საინტერესო და... ძვირადღირებულია.

მას შემდეგ, რაც საავტომობილო ქარხნების კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ავტომობილი, საჭირო გახდა მისი გამოცდა „საქმეში“, დღის წესრიგში დადგა ისეთი ასპარეზობის მოწყობის საკითხი, სადაც კონსტრუქტორები დააკვირდებოდნენ ექსტრემალურ პირობებში ავტომობილის მოქმედებას, გამძლეობას.

დრო გადიოდა, ავტომობილი ფორმას და სიმძლავრეს იცვლიდა. გაიზარდა საავტომობილო ფირმებს შორის კონკურენცია და, დადგა დრო, რომელიმე მათგანს დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა.

დაიწყო სპეციალური სარბოლო ავტომობილების კონსტრუირება და, ამავე დროს, სათანადო ავტოდრომების მშენებლობა. გამოჩნდნენ ავტომობილის გამომცდელებიც, რომლებიც დროთა განმავლობაში ექსტრაკლასის პილოტები გახდნენ.

ამასობაში დაარსდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია. ჩამოყალიბდა ასპარეზობის ჩატარების წესები. ყველაფერი მზად იყო მსოფლიო პირველობის მოწყობისთვის. რა თქმა უნდა, ყველა ტიპის ავტომობილი ერთად ვერ იასპარეზებდა და მოხდა მათი დაყოფა კლასებად, სიმძლავრის მიხედვით.

მსოფლიო ჩემპიონატები ამჟამად ტარდება „ფორმულა 3000“ და „ფორმულა 1“ კლასებში, „პროტოტიპებს“ შორის და ავტორალში.

ამერიკის შეერთებულ შტატებს საკუთარი ჩემპიონატები აქვს ამავე კლასებში.

ყოველი პილოტი თავის სპორტულ კარიერას იწყებს პატარა სარბოლო ავტომობილით, რომელსაც „კარტინგს“ ან „გოკარტს“ უწოდებენ. გარკვეული წარმატების მიღწევის შემდეგ ისინი გადადიან შედარებით მაღალ კლასში, რომელსაც „ფორმულა ფორდი“ ან „ფორდი 1600“ ეწოდება.

შემდეგი საფეხურია „ფორმულა 3“ ანუ „ფორმულა 2000“.

ამ კლასში პირველობები 1976 წლიდან ტარდება.

შემდეგ მოდის „ფორმულა 3000“ ანუ „ფორმულა 2“ კლასი. აქ პირველობები 1968 წლიდან ტარდება.

„ფორმულა 3000“ ბოლო საფეხურია „ფორმულა 1“ კლასში გადასასვლელად. მსოფლიოს უძლიერეს პილოტთა შორის მოხვედრაზე ყველა ახალგაზრდა ავტომრბოლი ოცნებობს, ამიტომ ისინი ცდილობენ მთელი შესაძლებლობების გამოვლენას, რათა ფირმების მენეჯერთა ყურადღება მიიქციონ.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესების თანახმად, „ფორმულა 3“-ის პრიზიორს მომდევნო კლასში მონაწილეობის ლიცენზიასთან, ე. ი. „უფლებასთან“ ერთად საშუალება ეძლევა გაფორმდეს, როგორც „ფორმულა 1“ კლასის რომელიმე ფირმის ავტომობილის გამომცდელი, ანუ „ტესტ-დრაივერი“ ან „კოლაუდატორე“, როგორც მათ ინგლისსა და იტალიაში უწოდებენ.

ასეთი „ტესტ-დრაივერები“ წელს არიან: ჯანი მორბიდელი (იტალია, „ფერარი“), მარკ ბლანდელი (ინგლისი, „უილიამს-რენო“), ანდრეა მონტერმინი (იტალია, „დალარა-ფორდი“), ალან მაკნიში (შოტლანდია, „მაკლარენ-ჰონდა“).

სპორტული კარიერის ისეთ მაღალ და პრესტიჟულ საფეხურზე, როგორიცაა „ფორმულა -1“, საასპარეზოდ იწვევენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. მენეჯერები ყურადღებას აქცევენ ავტომობილის მართვის მანერას, ტაქტიკური ბრძოლის უნარს, რეაქციას, სიმამაცეს, ჯენტლმენობას. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, ეს უკანასკნელი თვისება ნაკლებად შეიმჩნევა ავტომრბოლთა შორის განსაკუთრებით კი — დებიუტანტებში. მათი სწრაფვა პირველობისკენ იმდენად დიდია, რომ ხშირად ავიწყდებათ, თუ რა სწრაფად ავითარებს ადგილიდან საათში 100 კმ სიჩქარეს (2 წამში) „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილი. სასტარტო ბილიკზე ისინი ისე ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ხშირად პილოტის დაუფიქრებელი მოქმედება საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ასევე კოლეგების სიცოცხლეს.

ავტორბოლების მოყვარულებმა იციან, რომ ადრე „ფორმულა 1“ კლასში მოასპარეზე პილოტები სპორტული ავტომობილებითაც გამოდიოდნენ შეჯიბრებებზე. შემდეგ ეს აიკრძალა და სპორტსმენები უკვე ცალ-ცალკე სახეობებში ასპარეზობდნენ. არიან ისეთებიც, რომლებსაც „ფორმულა 1“ კლასში დიდი მიღწევები არა აქვთ, მაგრამ „პროტოტიპებში“ გადასვლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. აი ისინიც: ჰანს იოაჰიმ შტუკი (გფრ) — 1985, 1986 წწ, რაულ ბოუზელი (ბრაზილია) — 1987 წ, მარტინ ბრანდლი (ინგლისი) — 1988 წ, ჟან-ლუი შლესერი (საფრანგეთი) — 1989 წ.

„პროტოტიპი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ნამდვილ პიროვნებას, პირველ სახეს.

ავტოსპორტში „პროტოტიპის“ ყოველ დეტალს ცნობილი საავტომობილო ფირმები შემდეგ სპორტული ტიპის სერიული ავტომობილის კონსტრუირებისთვის იყენებენ.

„რალი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ერთგვარ სპორტულ შეჯიბრებას განსაზღვრულ მარშრუტზე სპეციალურად დამზადებული ავტომობილებით.

არის ასეთი გამოთქმა: „რალისტებად არ ხდებიან, რალისტებად იბადებიან“. მართლაც, ყველასთვის მისაწვდომი არაა ავტორალში ასპარეზობა. ამ სახის შეჯიბრებაში მონაწილე მრბოლს უნდა ჰქონდეს დიდი ნებისყოფა, სწრაფი რეაქცია, გამძლეობა, რადგან რალი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ასპარეზობასთან შედარებით ავტოსპორტის ერთ-ერთი ურთულესი სახეობაა. შეჯიბრება ზოგჯერ ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს. ავტომრბოლებს უხდებათ ტრასის სხვადასხვა სიძნელის მონაკვეთის გავლა, ურთულესი კლიმატური პირობების დაძლევა. ყველაზე საშიში დაბრკოლება რალისტისთვის მაინც მაყურებელია. არასდროს იცი, თუ რას მოიმოქმედებს ის ტრასაზე. ამიტომ საჭიროა ყურადღების უდიდესი კონცენტრაცია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს „ფორმულა კარტ“ ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ, ამერიკული „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლა.

აბრევიატურა „კარტ“ იშიფრება, როგორც „ჩემპიონში აუტო რეისინგ თიმზ“ და ნიშნავს სარბოლო საავტომობილო გუნდების ჩემპიონატს.

„ფორმულა კარტის“ კლასის ავტომობილი უფრო მძიმე და სწრაფია, ვიდრე „ფორმულა 1“.

რბოლა მიმდინარეობს ჩვეულებრივსა და სპეციალურ ოვალურ ტრასებზე. იმ 16 ეტაპიდან, რომელიც ყოველ წელს თამაშდება, ყველაზე პრესტიჟულია „ინდიანაპოლისი 500“, ანუ რბოლა ინდიანას შტატის ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ ინდიანაპოლისის ოვალზე, 500 მილის მანძილზე.

შეჯიბრებაში 33 პილოტი მონაწილეობს. მათ 200 წრე უნდა გაიარონ, ე. ი. დაფარონ 805,65 კმ სიგრძის მანძილი. ერთი წრე 4023 მეტრის სიგრძისაა. ავტომობილი აქ ავითარებს საშუალოდ საათში 262,5 კმ სიჩქარეს.

ამერიკელების გარდა ჩემპიონატში ევროპელებიც მონაწილეობენ. „ინდიანაპოლისი 500“-ის სპეციალისტებად ითვლებიან მარიო ანდრეტი, ბობ რაალი, რიკ მერსი, ალან ჯოზეფ ფოიტი, დენი სალივენი, ემერსონ ფიტიპალდი.

„ინდიანაპოლისი 500“ იმით განსხვავდება სხვა შეჯიბრებებისგან, რომ „გრან პრისთან“ ერთად გამარჯვებულს ეძლევა დიდძალი ფულადი ჯილდო. ასე მაგალითად, შარშან, ემერსონ ფიტიპალდიმ მიიღო 1 მილიონ 604 ათასი დოლარი, ხოლო წელს არი ლიენდიკმა — 5 მილიონი.

„ინდიანაპოლის 500“-ს თავისებური „რეკორდიც“ ახასიათებს. 1909 წლიდან მოყოლებული ამ რბოლებში დაიღუპა 64 პილოტი. ბოლოს ეს მოხდა 1973 წელს, როდესაც დაიღუპა შიდ სევიჯი.

წლევანდელ ჩემპიონატში ყველაზე ასაკოვანი პილოტია ალან ჯოზეფ ფოიტი — 55 წლის, ყველაზე ახალგაზრდა — ბილ ვუკოვიჩი — 26.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ფორმულა კარტის“ კლასის ავტომობილებით ასპარეზობა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ევროპაშიც. პილოტებისა და შეჯიბრების ორგანიზატორთა აზრით, კარგი იქნებოდა თუ ასეთივე ტრასები აშენდებოდა ევროპის ქვეყნებშიც და მომზადდებოდა ნიადაგი მსოფლიო პირველობის ჩასატარებლად.

**დავით ჩუბინიძე**

# ფ. ბეკენბაუერის „ბუღალტერია“

ბერლინის „დოიჩეს შპორტეხომ“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფ. ბეკენბაუერმა, როგორც პროფესიონალმა ფეხბურთელმა, 18 წლის მანძილზე ათეულობით მილიონი მარკა მიიღო.

**1964 წელი.** პირველი ხელშეკრულება „ბაიერნთან“, როცა მომავალი გამოჩენილი ფეხბურთელი სულ 19 წლისა იყო. ამ ხელშეკრულებით ბეკენბაუერს დაენიშნა თვიური ხელფასი 400 მარკის ოდენობით.

**1966 წ.** პირველი სარეკლამო ხელშეკრულება. ბეკენბაუერმა იკისრა ერთი წლის მანძილზე რეკლამა გაეწია საპარსი კრემის ფირმისთვის და ამაში მიიღო 1000 მარკა ჰონორარი.

**1970 წ.** წვნიანი საკვების რეკლამისთვის მიიღო 20 ათასი მარკა.

**1976 წ.** 90 წუთის განმავლობაში მიცემული ავტოგრაფებისთვის — 1000 მარკა.

**1977 წ.** „ბაიერნიდან“ ნიუ-იორკის „კოსმოსში“ გადასვლისთვის — 1,75 მილიონი მარკა. გარანტირებული წლიური თანხა „კოსმოსში“ თამაშისას — 1 მილიონი დოლარი.

**1978 წ.** წიგნის ჰონორარმა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიცა და არგენტინაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს მიეძღვნა, 300 ათასი მარკა შეადგინა.

ამავე წელს სხვადასხვა ოპტიკური ხელსაწყოების რეკლამისათვის მიიღო 200 ათასი მარკა.

**1980-82 წ. წ.** „კოსმოსიდან“ „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ გადასვლის საფასურად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის სარეკორდო თანხა მიიღო — 1,1 მილიონი მარკა თითოეულ სეზონში. წლის შემოსავალს დაემატა 650 ათასი მარკაც, რომელიც მიიღო მინერალოგიის საზოგადოების მიერ ჩატარებულ აქციაში „ახალგაზრდობა და სპორტი“ მონაწილეობისთვის. დაწერა ბროშურა „ადიდასისთვის“, რისთვისაც 250 ათასი მარკა მიიღო. 200 ათასი მარკა გადაუხადა კლუბმა „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“.

**1982 წ.** კონტრაქტი „ვერნერკონცერნსა“ და სხვადასხვა ფირმებთან. ჰონორარი — 1,2 მილიონი მარკა.

**1989 წ.** კონტრაქტი ბილეფელდის სამშენებლო ფირმა „შუკოსთან“, სხვადასხვა პარფიუმერულ ფირმებთან და რძის კონცერნ „მიულერ-მილხთან“. ჰონორარი — 3 მილიონი მარკა.

**1990 წ.** როგორც ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი, ფ. ბეკენბაუერი გერმანული საფეხბურთო კავშირისგან ყოველთვიურად იღებდა 30 ათას მარკას.

**1990 წ.** აპრილისთვის ბეკენბაუერს დადებული ჰქონდა 5 კონტრაქტი სხვადასხვა კონცერნსა თუ ფირმასთან, რისთვისაც დაახლოებით 5 მილიონი მარკა მიიღო.

**1990 წ.** მაისში ბეკენბაუერი მოელაპარაკა ცნობილი ავტოკონცერნის „მერსედეს ბენცის“ ხელმძღვანელობას. კონცერნი გფრ-ის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი სპონსორი გახდა. ბეკენბაუერის შემწეობით დაიდო ხანგრძლივი შეთანხმება გერმანულ საფეხბურთო კავშირსა და სხვადასხვა კონცერნს შორის, რომელთა ძალითაც კავშირი 4 წლის მანძილზე 10 მილიონ მარკას მიიღებს. ფ. ბეკენბაუერს ამ გარიგებიდან, როგორც შუამავალს 10-დან 25 პროცენტამდე თანხა ეკუთვნის.

**1990 წ.** აგვისტოში ბეკენბაუერი მოლაპარაკებას აწარმოებდა ტოკიოს ცნობილ სააგენტო „დენტსუსთან“, რათა შუამავლის როლი ეთამაშა სხვადასხვა სპონსორებსა და ორგანიზაციებს შორის.

**1990 წ.** აგვისტოში მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტმა, მულტიმილიონერმა ბერნარ ტაპიმ, რომელმაც ფირმა „ადიდასის“ აქციების 80 პროცენტი შეისყიდა, გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ ფ. ბეკენბაუერი მისი გუნდის ტექნიკურ დირექტორად დაიწყებს მუშაობას და წლიურად მილიონ მარკა გასამრჯელოს მიიღებს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20